

---

## ზოგადი მოთხოვნები ანოტაციის შესასრულებლად

---

- ანოტაცია უნდა განთავსდეს ახალ გვერდზე;
- უნდა შესრულდეს - A4 ფორმატის ფურცელზე Times New Roman - ფონტით;
- სამეცნიერო ნაშრომის სათაური - ცენტრში, ფონტის ზომა - 12; სიტყვა "ანოტაცია" ცენტრში, გამუქებული (bold), ფონტის ზომა - 12;
- ავტორის სახელი და გვარი - ცენტრში, გამუქებული (bold) ფონტი - Times New Roman ფონტის ზომა - 11;
- სამეცნიერო წოდება და ხარისხი, ცენტრში, ფონტის ზომა - 11;
- ინსტიტუციის დასახელება - დახრილი ასოებით, ცენტრში, ფონტის ზომა - 11;
- პწკარებს შორის ინტერვალი - 1.5;
- ველები ოთხივე მხარეს - 2.54;
- ანოტაციის პირველი სტრიქონი არ უნდა იყოს აბზაცით, მაშინ როცა საკვანძო სიტყვები (მაქსიმუმ 5 სიტყვა), რომელიც მოსდევს ძირითად ანოტაციის ტექსტს აუცილებლად აბზაცით უნდა დაიწეროს, დახრილი ასოებით;
- ანოტაციის მოცულობა უნდა იყოს მაქსიმუმ 300 სიტყვისა ერთ პარაგრაფად დაწერილი.

---

## ანოტაციის შემადგენლები

---

### **პრობლემის არსი:**

მკითხველისთვის საკითხის გაცნობა, აღნიშნულ თემაზე ჩატარებული კვლევების ანალიზი/მიმოხილვა და საკუთარი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება. ამ თავში განხილული უნდა იყოს თუ რატომაა მკითხველისთვის ნაშრომი მნიშვნელოვანი.

### **მეთოდოლოგია:**

კვლევაში ჩართული პირები/მონაწილეები - რა როდენობამ მიიღო კვლევაში მონაწილეობა, ვინ იყო სამიზნე ჯგუფი, როგორ შეირჩნენ ისინი და რა ფაქტორები განასხვავებენ მათ საზოგადოების ნაწილისგან;

მასალები - საზომი ერთეულები, აღჭურვილობა, რაც გამოყენებული იყო კვლევის განხორციელებისას. მათში შეიძლება შედიოდეს საცდელი ინსტრუმენტები, ტექნიკური აღჭურვილობა, წიგნები, ნახატები ასევე ფსიქოლოგიური შეფასების ინსტრუმენტი და ა.შ;

დიზაინი - ექსპერიმენტში გამოყენებული დიზაინის სახეობა, ცვლადები და მათი დონეები, უნდა დაკონკრეტდეს დამოუკიდებელი, დამოკიდებული და მაკონტროლებელი და სხვა გარე ცვლადები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ კვლევის შედეგებზე;

პროცედურა - რა გააკეთეს კვლევაში ჩართულმა მონაწილეებმა, როგორ შეგროვდა მონაცემები, ასევე საჭიროა განხორციელებული ეტაპების თანმიმდევრული აღწერა.

### **შედეგები:**

მტკიცებულებების გამყარება, კვლევის პროცესში გამოვლენილ შედეგებთან დაკავშირებით სწორი ხედვის ფორმირება, თუ ავტორის მიერ კვლევის საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა მეტ სტატისტიკურ მონაცემებს საჭიროებდა, არ უნდა იქნას არსებული მიგნებები უგულებელყოფილი, პირიქით, უნდა განმტკიცდეს ავტორის მიერ წარმოდგენილი პროგნოზები.

### **დასკვნა:**

რაზე მიაწინებენ კვლევის შედეგები და რაზე მიუთითებს იგი სამომავლო პერსპექტივაში.

---

## ანოტაციის ნიმუში

---

### ონლაინ კომუნიკაციის განსაზღვრებათა ნაირსახეობები და მათი გავლენა საურთიერთობო კვლევაზე

ელიზაბეტ ლ. ანგელი

ოკლაჰომას უნივერსიტეტი

#### ანოტაცია

კვლევითი ნაშრომის მიზანია ინტერნეტსა და მის გარეშე არსებულ საურთიერთობო ფორმებზე განხორციელებული კვლევების მიმოხილვა და მათი კავშირის გამოვლენა კომპიუტერულ საკომუნიკაციო ფორმასთან მიმართებით (Computer-Mediated Communication, CMC).

აღნიშნული კვლევები განსხვავდება კომპიუტერული კომუნიკაციის განსაზღვრებებითა და მისი გამოყენების მიდგომებით. მაგალითად, Butler and Kraut (2002) განმარტავენ, რომ პირისპირ კომუნიკაცია (Face to Face, FTF) გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე კომუნიკაცია კომპიუტერის, კერძოდ კი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მაშინ როცა, მსგავსი შინაარსის მატარებელ კვლევით ნაშრომებში კომპიუტერული კომუნიკაცია სხვა რაკურსითაა დანახული და შესაბამისად განსხვავებულ შედეგებს გვთავაზობს.

აღნიშნული კვლევითი ნაშრომი შეისწავლის ავტორების: Cummings, Butler, and Kraut-ის (2002) მიერ განხორციელებულ კვლევას სამ სხვა კვლევით სტატიასთან კავშირში, იმის დასამტკიცებლად, რომ კომპიუტერზე დაფუძნებულ კომუნიკაციის ყველა ფორმის შესწავლაა საჭირო იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა გავლენა აქვს CMS-სინტერნეტსა დამისგარეშე არსებულ საურთიერთობათა სახეობებზე.

*საკვანძო სიტყვები: კომპიუტერის მეშვეობითი კომუნიკაცია, პირისპირი კომუნიკაცია*